ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N5
21.03.2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. სტიპენდიების მინიჭების წესში ცვლილებების შეტანა
2. ანა ბოკუჩავას კვალიფიკაციის ბათილად ცნობის რექტორის 2015 წლის 10 დეკემბრის N1605/01-04 ბრძანების ბათილად ცნობა.
3. 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების (ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა მიმართულებები) წარდგინება
4. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო გრანტების ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების დამტკიცება
5. მიზნობრივი სამეცნიერო გრანტის დარჩენილი თანხების ათვისების საკითხი
6. მაღლივი კორპუსის 1201-1204 აუდიტორიების ფაკულტეტის საკუთრებაში არსებული თეთრი დაფებითა და მარკერებით უზრუნველყოფა
7. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:
თავჯდომარე - დეკანი: პროფ. თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:
<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი:
მზია წერეთელი, ია კუტალაძე, ლალი სურმანიძე, ნანა სუმბაძე
ასოცირებული პროფესორები:
მანანა მელიქიშვილი, ანი ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე
ასისტენტ პროფესორები: თეონა ლოდია, შორენა მამუკაძე, ნინო ლაბარტყავა, მარინა ჯაღიაშვილი-კაკიაშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ხათუნა მარწყვიშვილი, ლია ჩხიკვიშვილი.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>
ასოცირებული პროფესორი:
იზაბელა პეტრიაშვილი

სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები:
ნანუკი ალიბაგაშვილი, ნიკოლოზ გოძიაშვილი, სალომე თოფურია.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 20 წევრი.

რადგანაც საბჭოს მდივანი, ასისტენტ პროფესორი, ზაქარია ქიტიაშვილი არ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ დააყენა კენჭისყრაზე ერთჯერადად საბჭოს დროებითი მდივნის არჩევის საკითხი. მან საბჭოს შესთავაზა ასისტენტ პროფესორის, ეკატერინე ფირცხალავს კანდიდატურა.
საბჭომ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას:
მომხრე: 20
მოწინააღმდეგე:0
თავი შეიკავა: 0

განიხილეს:

1. **სტიპენდიების მინიჭების წესში ცვლილებების საკითხი**
   სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წინაშე სამსჯელოდ გამოიტანა სტუდენტებისათვის სტიპენდიების მინიჭების კომისიის წინადადება იმის თაობაზე, რომ შეფასების კომპონენტებს დაემატოს კონფერენციაში მონაწილე გამარჯვებული სტუდენტების შეფასებისა და 1,2 და მე-3 ადგილზე გასული სტუდენტების შეფასდნენ დამატებითი ქულით. ასევე ი. ჯავახიშვილის ფორუმში მონაწილე სტუდენტიც შეფასდეს დამატებითი ქულით.
   აზრი გამოთქვეს: ნ. გოძიაშვილმა და ს. თოფურიამ. მათ აღნიშნეს, რომ აღნიშნული შეფასება გაკეთდეს იმ შემთხვევაში, თუ კონკურსში მონაწილე სტუდენტებს ერთნაირი ქულები აქვთ. ი. კუტალაძემ აღნიშნა, რომ ჯობს სტუდენტებს დავუფასოთ კონფერენციაში გამარჯვება და დამატებითი ქულით შევაფასოთ, ხოლო ფორუმში მონაწილეობა გავითვალისწინოთ თანაბარი ქულების შემთხვევაში.
   სხდომის თავჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს წინაშე კენჭისყრაზე ცალ-ცალკე დააყენა წარმოდგენილი წინადადებები:

- სტუდენტის გამარჯვება კონფერენციაში (1,2,3 ადგილები) და ფორუმში მონაწილეობა გათვალისწინებულ იქნას კონკურსში მონაწილე სტუდენტების თანაბარი ქულების შემთხვევაში

  კენჭი უყარეს:
  მომხრე: 11
  მოწინააღმდეგე: 7
  თავი შეიკავა: 2

- სტუდენტის გამარჯვება კონფერენციაში (1,2,3 ადგილები) დამატებითი ქულით, ხოლო ფორუმში მონაწილეობა გათვალისწინებულ იქნას მონაწილე სტუდენტების თანაბარი ქულების შემთხვევაში.

  კენჭი უყარეს:
  მომხრე: 6
  მოწინააღმდეგე:12
  თავი შეიკავა: 2

2. ანა ბოკუჩავას კვალიფიკაციის ბათილად ცნობის საკითხი

2016 წლის ფაკულტეტის N3 საბჭოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ანა ბოკუჩავას შესახებ კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილება. აღნიშნული საკითხი გასაჩივრებულ იქნა დაინტერესებული მხარის (ანა ბოკუჩავას) მიერ და ფაკულტეტს დაევალა წამოების ჩატარება. წარმოების მასალების საფუძველზე, კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისამ 2016 წლის 22 თებერვლის N4 ოქმით დაადგინა, რომ ანა ბოკუჩავას მიერ 2 ჯერ სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გავლილი საგანი აკადემიური წერა განსხვავებული საგნებია. ვინაიდან აღარ არსებებობს საფუძველი იმისა რომ ანა ბოკუჩავას, ბაკალავრის ხარისხის მისანიჭებლად, თავიდან ესაჭიროება აკადემიური წერის ნაცვლად სხვა საგნის გავლა და დამტებითი სემესტრის დამატება და ასევე არ არსებობს საფუძველი მისი მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმებისა, საბჭო ადგენს, ეთხოვოს უნივერისტეტის რექტორატს ბათილად ცნოს რექტორის 2015 წლის 10 დეკემბრის N1605/01-04 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ბათილად იქნა ცნობილი უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 18 აგვისტოს N871/01-04 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2015 წლის კურსდამთავრებულთა სიაში მე -17 ნომრად მითითებული ანა ბოკუჩავას ნაწილში.

აზრი გამოთქვეს: ხ. მარწყვიშვილიმა, თ. გაგოშიძემ, მ. წერეთელმა. მათ აღნიშნეს, რომ ეს ორი სილაბუსი თვისებრივად და შინაარსობრივად მსგავსია და ვერ ჩაითვლება სხვა საგნად. სხვა საკითხია, რომ თსუ ბაზაში სტუდენტმა მოახერხა ერთი დასახელების საგნის არჩევა, რაც ბაზის დახვეწის საჭიროებაზე მიუთითებს.

კენჭი უყარეს წინადადებას ეთხოვოს უნივერისტეტის რექტორატს რექტორის 2015 წლის 10 დეკემბრის N1605/01-04 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ბათილად იქნა ცნობილი უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 18 აგვისტოს N871/01-04 ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2015 წლის კურსდამთავრებულთა სიაში მე -17 ნომრად მითითებული ანა ბოკუჩავას ნაწილში.

კენჭი უყარეს:

მომხრე: 12
მოწინააღმდეგე: 5
თავი შეიკავა: 3

3. 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების (ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა მიმართულებები) წარდგინება.

მიენიჭოთ ***განათლების მეცნიერებების მაგისტრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015/2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების მეცნიერებები

<u>დიპლომი წარჩინებით</u>

1. გაგელიძე ნინო

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

1. კონტრიძე დიმიტრი
2. კასრელიშვილი მაკა

სწავლების ძირითადი დარგი - განათლების პოლიტიკა

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

1. ჩაჩანიძე ანა

მიენიჭოთ ***განათლების ბაკალავრის*** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015/2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი - დაწყებითი განათლება

<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>

1. არაბიძე თამარ
2. არაბიძე ირმა

მიენიჭოთ **სოციალური მეცნიერებების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიაში** და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015/2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სწავლების ძირითადი დარგი: **ფსიქოლოგია**

დიპლომი ჩვეულებრივი:

1 ბიბილეიშვილი ნელი

2 ბურდული მარიამი

3 გელოვნიძე სალომე

4 ზირაქაშვილი სოფიო

5 კოსტანიშვილი თამარ

6 ლალიაშვილი თამარ

7 მაკარაშვილი სოფიო

8 მამნიაშვილი თათია

9 მამულაშვილი ლილი

10 მანოშვილი თათია

11 მასხარაშვილი ანი

12 საკანდელიძე კესანე

13 ტურაშვილი ხატია

14 შანშიაშვილი ეკატერინე

15 შულაია მაკა

16 ჩიტაშვილი თამარი

მიენიჭოთ **შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015/2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა: „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია“

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ყაყიჩაშვილი ია
2. გოშაძე თამარი

მიენიჭოთ **ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015/2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა „განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“

დიპლომი ჩვეულებრივი

1. გორგოშიძე მარიამი

მიენიჭოთ **ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის** აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი 2015/2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულებს:

სამაგისტრო პროგრამა „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება“

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ჯოჯუა თეონა

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ კენჭისყრაზე დააყენა დიპლომზე წარდგენილი სტუდენტებისათვის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხი.

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0

4. სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო გრანტების ფარგლებში წარმოდგენილი პროექტების დამტკიცება.
ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსმა, დიმიტრი ჩუბინიძემ საბჭოს მოახსენა, რომ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2016 წლის მოზნობრივი–სამეცნიერო კვლევითი პროექტების კონკურსში შემოვიდა 8 საპროექტო წინადადება. პროექტთა შეფასებისთვის ყველა ინსტიტუტმა შექმნა შემფასებელი კომისია და ნაშრომების შეფასება მოხდა ინსტიტუტის ბაზაზე. შემფასებელი კომისიების გადაწყვეტილებით, შემოსული 8 პროექტიდან გამარჯვებულია 7 საპროექტო წინადადება.

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი- აგრესიის, სკოლაში სოციალური ქცევისა და პიროვნული ფაქტორების ურთიერთმიმართება ბავშვებსა და მოზარდებში. ხელმძღვანელი ლუიზა არუთინოვა, ასოც. პროფესორი.აკად.პერსონალი – 2; სტუდენტი – 5. ბიუჯეტი: 12 500 ლარი. **96 ქულა.**

სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი - 1. საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ჯგუფების აკულტურაციის და კულტურული ასიმილაციის კვლევა. ხელმძღვანელი მედეა დესპოტაშვილი, ასისტენტ პროფესორი. აკად.პერსონალი – 1, სტუდენტი – 2. ბიუჯეტი 8500 ლარი. **94 ქულა.**
2. განათლების მიღმა დარჩენილი და უმუშევარი ახალგაზრდების სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების კვლევა საქართველოში. ხელმძღვანელი ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი. აკად.პერსონალი – 2, სტუდენტი – 4. ბიუჯეტი 4000 ლარი. **94 ქულა.**

განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი - განათლებისადმი დამოკიდებულებისა და მოტივაციის კვლევა თაობათა თვალსაზრისით. ხელმძღვანელი მზია წერეთელი, პროფესორი. აკად.პერსონალი – 5, სტუდენტი – 2. ბიუჯეტი 12500 **ლარი. 92 ქულა.**

კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი - ქორწინების ქართული კულტურული მოდელი. ხელმძღვანელი ლალი სურმანიძე, პროფესორი. აკად.პერსონალი – 2, სტუდენტი – 3. ბიუჯეტი 12497 ლარი. **94 ქულა.**

პედაგოგიკის ინსტიტუტი - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში სასწავლო პროცესის შეფასების თვალსაზრისით არსებული ვითარების/პრაქტიკის კვლევა. ხელმძღვანელი რუსუდან სანაძე, ასოცირებული პროფესორი. აკად.პერსონალი - 3, სტუდენტი -4. ბიუჯეტი 12209 ლარი. **98 ქულა.**

ინტერდისციპლინური პროექტი: ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენების ეთიკური ასპექტები: დამოკიდებულებების კვლევა საქართველოში. ხელმძღვანელი მანანა მელიქიშვილი, ასოცირებული პროფესორი. აკად.პერსონალი - 3, სტუდენტი -4. ბიუჯეტი 10000 ლარი. **96 ქულა.**

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა დადგენილ ვადებში ვერ წარმოადგინა პროექტი. დაუხარჯავი დარჩა 12794 ლარი.

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ კენჭისყრაზე დააყენა შეფასებული პროექტების დამტკიცების საკითხი.

საბჭომ კენჭი უყარა წინადადებას დატკიცდეს ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილი პროექტები.

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

5.მიზნობრივი სამეცნიერო გრანტის დარჩენილი თანხების ათვისების საკითხი

საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს შესთავაზა ემსჯელათ მიზნობრივი სამეცნიერო გრანტის ფარგლებში დარჩენილი თანხის ათვისების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: ასოც. პროფესორებმა ანი ქიტიაშვილმა, თამარ აბაშიძემ, მანანა მელიქიშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ სამართლიანი იქნება გაუგრძელდეს კონკურსის ვადა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს პროექტების წარმოსადგენად.

საბჭომ იმსჯელა საკონკურსო ვადის გაგრძელების თაობაზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ 29 მარტამდე გაგრძელდეს საგრანტო კონკურსი შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტისთვის დარჩენილი საგრანტო თანხის ფარგლებში. პროფ. თამარ გაგოშიძემ დააყენა კენჭისყრაზე შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტისთვის მიზნობრივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ვადის 29 მარტის 18.00 საათამდე გაგრძელება.

მომხრე: 20
მოწინააღმდეგე: 0
თავი შეიკავა: 0

6. მაღლივი კორპუსის 1201-1204 აუდიტორიების ფაკულტეტის საკუთრებაში არსებული თეთრი დაფებითა და მარკერებით უზრუნველყოფა.

პროფ. თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა ასოცირებული პროფესორის გიორგი ყიფიანის წინადადება მაღალივი კორპუსის აუდიტორიების კეთილმოწყობის თაობაზე. კერძოდ, ფაკულტეტის საკუთარებაში არსებული თეთრი დაფები და მარკერები გამოყენებულ იქნას მე-12 სართულის ოთახებში.
საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა თ. გაგოშიძემ, ნ. სუმბაძემ, ასისტენტ პროფესორებმა ე. ფირცხალავამ და ხ. მარწყვიშვილმა. აღინიშნა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც არ იკეთება ოთახები და რთულია კონტროლი, სარისკოა ფაკულტეტის კუთვნილი ინვენტარის გამოყენება. ვერც ფაკულტეტის კუთვნილი პროექტორების დამონტაჟება მოხერხდა მათი დაცვის პრობლემის გამო და როგორც გადასატანი ინვენტარი, ისე გამოიყენება.
პროფ. თამარ გაგოშიძემ დააყენა კენჭისყრაზე ასოც. პროფესორის, გ. ყიფიანის წინადადება მაღლივი კორპუსის 1201-1204 აუდიტორიები აღიჭურვოს ფაკულტეტის საკუთრებაში არსებული თეთრი დაფებითა და მარკერებით.

მომხრე: 5
მოწინააღმდეგე: 13
თავი შეიკავა: 2

დაადგინეს:

1. შეტანილ იქნეს სტიპენდიების მინიჭების საფაკულტეტო წესში, კონკურსში მონაწილეთა შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს: სტუდენტის გამარჯვება კონფერენციაში (1,2,3 ადგილები) და ფორუმში მონაწილეობა გათვალისწინებულ იქნას კონკურსში მონაწილე სტუდენტების თანაბარი ქულების შემთხვევაში.
2. ვინაიდან აღარ არსებებობს საფუძველი იმისა რომ ანა ბოკუჩავას, ბაკალავრის ხარისხის მისანიჭებლად, თავიდან ესაჭიროება აკადემიური წერის ნაცვლად სხვა საგნის გავლა და დამტებითი სემესტრის დამატება და ასევე არ არსებობს საფუძველი მისი მინიჭებული კვალიფიკაციის გაუქმებისა, ეთხოვოს უნივერისტეტის რექტორატს ბათილად ცნოს რექტორის 2015 წლის 10 დეკემბრის N1605/01-04 ბრძანება, რომლის საფუძველზეც ბათილად იქნა ცნობილი უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 18 აგვისტოს N871/01-04 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის 2015 წლის კურსდამთავრებულთა სიაში მე -17 ნომრად მითითებული ანა ბოკუჩავას ნაწილში.

3. დამტკიცდეს 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულების (ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა მიმართულებები) წარდგინება.

დამტკიცდეს მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:
პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი:
1. აგრესიის, სკოლაში სოციალური ქცევისა და პიროვნული ფაქტორების ურთიერთმიმართება ბავშვებსა და მოზარდებში. ხელმძღვანელი ლუიზა არუთინოვა, ასოც. პროფესორი.
სოციალური ფსიქოლოგიის ინსტიტუტი:
2. საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის ჯგუფების აკულტურაციის და კულტურული ასიმილაციის კვლევა. ხელმძღვანელი მედეა დესპოტაშვილი, ასისტენტ პროფესორი.
3. განათლების მიღმა დარჩენილი და უმუშევარი ახალგაზრდების სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების კვლევა საქართველოში. ხელმძღვანელი ანასტასია ქიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი.
4. განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტი - განათლებისადმი დამოკიდებულებისა და მოტივაციის კვლევა თაობათა თვალსაზრისით. ხელმძღვანელი მზია წერეთელი, პროფესორი.
5. კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი - ქორწინების ქართული კულტურული მოდელი. ხელმძღვანელი ლალი სურმანიძე, პროფესორი.

6. პედაგოგიკის ინსტიტუტი - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მასწავლებლის პროფესიულ საქმიანობაში სასწავლო პროცესის შეფასების თვალსაზრისით არსებული ვითარების/პრაქტიკის კვლევა. ხელმძღვანელი რუსუდან სანაძე, ასოცირებული პროფესორი.
7. ინტერდისციპლინური პროექტი: ბიოსამედიცინო კვლევებში ცხოველთა გამოყენების ეთიკური ასპექტები: დამოკიდებულებების კვლევა საქართველოში. ხელმძღვანელი მანანა მელიქიშვილი, ასოცირებული პროფესორი.

4. დარჩენილი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის საგრანტო თანხის ფარგლებში შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ვადა გაუგრძელდეს 29 მარტის 18.00 საათამდე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე